ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარის და

საკრებულოს ბიუროს წევრის ვლადიმერ ძნელაძის

ანგარიში

2015 წელი

ქ.თბილისის საკრებულო, თბილისის მერიასთან ერთად აქტიურად მუშაობს, დედაქალაქის მოსახლეობისათვის იმგვარი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქში სოციალური და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესებას.

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრი სამუშაო რეჟიმში მონაწილეობს საკრებულოსა და ბიუროს სხომებში.

2015 წლის იანვრიდან-ოქტომრამდე ქ.თბილისის საკრებულოში გაიმართა 25 სხდომა.საკრებულოს წევრების აქტიურ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტი,რომ 9 თვის ძანძილზე საჭრებულომ მიიღო 101 დადგენილება და 380 განკარგულება,ხოლო რაც შეეხება ბიუროს სხდომებს, 2015 წლის იანვრიდან-ოქტომბრამდე გაიმართა 39 ბიუროს სხდომა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"

ვლადიმერ ძნელაძე 2014 წლის ივლისიდან არის ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე. 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა ფრაქციის 12 სხდომა. ფრაქციის სხდომებზე ძირითადად განიხილებოდა დედაქალაქის ბიუჯეტის ეფექტური დაგეგმვისა და შემდგომ ამ ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების მიმდინარეობა.ასევე,მოქალაქეთა სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ინფრასტრუქტურულ პროექტებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის გზები.სხდომებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თბილისის მოქალაქეებთან ურთიერთობის

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსული რაოდენობა 39 ფურცელი
01/10/18532 02.11.15

საკითხს, რათა ფრაქციის და მისი წევრების მუშაობა მეტად ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული ყოფილიყო.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს ყველა წევრი აქტიურად არის ჩაბმული მოქალაქეთა პრობლემების შესწავლასა და განხილვაში. რეაგირების გარეშე არ რჩება სატელეფონო ზარებით შემოსული თხოვნებიც.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

განკარგულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ". რაიონებში არსებული ქვეპროგრამის ფარგლებში მოქალაქეთათვის დახმარების გაცემის წესის თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების თაობაზე. აღნიშნული წესი დედაქალაქის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების მიერ თბილისში შესაბამისი რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეების საარსებო პირობების (სამედიცინო,საყოფაცხოვრებო და ა.შ.) გაუმჯობესების, ასევე სტიქიური მოვლენების,უბედური შემთხვევების შედეგის ლიკვიდაციის მიზნით დახმარების გაცემის წესს განსაზღვრავს. ფრაქციის მიერ განისაზღვრა და მსარი დაეჭირა შესაბამისი რაიონის ტერიტორიაზე უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების საარსებო პირობების გაუმჯობესებას და ასევე სტიქიური მოვლენების,უბედური შემთხვევების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მოქალაქეებისათვის დახმარების წესის გამარტივებას.

განისილა თბილისის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესში შესატანი ცვლილებები. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ განმარტა, აღნიშნული ცვლილებით ამხანაგობების პროცენტული მონაწილეობა სხვადასხვა პუნქტებში 25%-დან 5%-მდე კლებულობს, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას უფრო აქტიურად ჩაერთოს მიმდინარე პროგრამებში.

მიმდინარე წლის ივნისის თვეში მოწვეულ ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა 2015 წლის 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთა პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება და დაზარალებულთა ქონებრივი ზარალის ანაზღაურების საკითხი. სტიქიით დაზარალებულთა დახმარებაში ფრაქციამ „ქართული ოცნება-მრეწველები" განსაკუთრებული და უშუალო მონაწილეობა მიიღო. უწყვეტ რეჟიმში ჩართულნი იყვნენ როგორც ფრაქციის წევრები, ისე ფრაქციის თანამშრომლები.

სხდომებზე ასევე პერიოდულად იხილება ფრაქციის მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები, საკრებულოს ფრაქციის წევრთა სახელზე მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილ წერილებში დასმული საკითხები, ქალაქის ინფრასტრუქტურული პრობლემები და სხვა.

დიდუბის რაიონის მაჟორიტარის ბიუროს მუშაობა

გვინდა მოგახსენოთ, რომ 2015 წლის თებერვალში დიდუბის რაიონის მაჟორიტარმა წევრმა მის საარჩევნო ოლქში მაცხოვრებლებს გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვის ანგარიში წარუდგინა. წინამდებარე ანგარიში ვლადიმერ ძნელაძისთვის, როგორც მე-5 მოწვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის რიგით მეორეა.

დიდუბის რაიონის მაჟორიტარის სამაჟორიტარო ოლქი მოიცავს დიდუბის რაიონსა და ჩუღურეთის რაიონის მცირე ნაწილს (შალიბაშვილის სიდიდან - მარჯანიშვილის მეტრომდე).საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის ოფისში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად. ყოველ ოთხშაბათს მაჟორიტარი პირადად ხვდება მოქალაქეებს, ისმენს მათ საჭიროებებს, ეცნობა მათ მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, განიხილავს და რეაგირებისთვის გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს. მაჟორიტარის და მისი ბიუროს საქმიანობის სფეროები განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვა, სოციალური სფერო, ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი საქმიანობა. ასევე, ნებისმიერ მოქალაქეს, აქვს შესაძლებლობა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, კვირის სამუშაო დღეებში შეხვდეს მაჟორიტარ წევრს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. პრობლემების გადაწყვეტის პროცესი ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე, უწყებების სელმძღვანელ პირებთან პირადი შეტყობინების თუ წერილობითი მიმართვის საფუძველზე. მიმდინარე წლის იანვრიდან - ოქტომბრამდე, მაჟორიტარის და მისი ბიუროს მიერ მიღებულ იქნა 1000-მდე მოქალაქე. სატელეფონო კონსულტაცია გაეწია 300-მდე ადამიანს. რაიონში მიმდინარე პროექტების განხორციელების მონიტორინგის პერიოდში მაჟორიტარი სამუშაოების განხორციელების ადგილზე შესვდა 1500-მდე პირს. მაჟორიტარის და მისი ბიუროს თანამშრომლების მიდგომაა, საკითხი მოგვარდეს დაუყონებლივ, ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე. სასი გვინდა გავუსვათ უწყებათაშორის თანამშრომლობას და დამხარდაჭერას, რომელსაც

სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო სტრუქტურები იჩენენ საქმის მიმართ. ფაქტიურად არ არსებობს უწყება, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში არ თანამშრომლობს ჩვენთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის, თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოს, თბილისის განვითარების ფონდის, ფეხბურთის ფედერაციის, შპს ყაზტრანსგაზის, შპს საქართველოს რკინიგზისა და სს „თელასის" ჩართულობა მოსახლეობაზე ორიენტირებული საჭიროებების მოგვარების პროცესში.

დიდუბის მაჟორიტარი მუდმივ კონტაქტშია დიდუბის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მაჟორიტარის ინიციატივით ვიწვევთ წარმომადგენლებს სხვადასხვა სფეროდან და ვმსჯელობთ პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებზე.

ინფრასტრუქტურული სფერო

ინფრასტრუქტურული საკითხების გადაჭრის უმთავრეს პირობას საბიუჯეტო სასსრების სწორად დაგეგმვა და დაგეგმილი სამუშაოების დროულად და მიზანმიმართულად შესრულება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დიდუბის რაიონის გამგეობაში,ბიუჯეტით განსაზღვრული ყველა პროექტი ხორციელდება მაჟორიტარისა და რაიონის გამგებლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად.

მიმდინარე წელს გზები რეაბილიტირებულ იქნა შემდეგ მისამართებზე:

N	მისამართი	თანხა
1	აგლაძის ქ. N 79, 81, 83. ეზოები	12010.46
2	აგლაძის ქ. N 79, 81, 83. წინ	19017.14
3	აკ.წერეთლის გამზ N 141 (სავალი ნაწილის გაფართოება)	39871.01
4	აკ.წერეთლის გამზ. N 138-140 (ტროტუარი, სავალი ნაწილი)	76797.89
5	აკ.წერეთლის გამზ. N 58 (ტროტუარი)	7023.54

6	ბაგრატიონის ქ. N 62	8119.51
7	ბათუმის ქ. N 5	19857.06
8	გორის 24/26	7092.45
9	გორის ქ. N 21	2200.47
10	ევდოშვილის ქ. N 19	10899.29
11	თამარ მეფის 22	4771.59
12	თევდორე მღვდლის ქ. N 26	1660.65
13	თევდორე მღვდლის ქ. N 36	3536.03
14	კედიას ქუჩა	9518.34
15	ოკრიბა	350713.06
16	ფიფიეზის 6	4102.88
17	ფოთის ქ. N 10	4410.56
18	ფოთის ქ. N 34	2540.72
19	ფოთის ქ. N 42	4185.54
20	ფოთის ქ. N 44	11474.11
21	ფოთის ქ. N 8	7280.64
22	ფოთის ქ. N 9	7191.1
23	ქუთაისის ქ. N 27	2352.19
24	ქურდიანის ქ. N 19	5504.43
25	ქურდიანის ქ. N 5	3484.55
26	ყიფიანის ქ. N 12	7039.9
27	ყიფიანის ქ. N 21	4142.17
28	ყიფიანის ქუჩა	75681.34236
29	წერეთლის გამზ. N 43 (ტროტუარი)	8253.32
30	წერეთლის გამზ. N 47 (ტროტუარი)	13952.34
31	წერეთლის გამზ. N 61-65 (ტროტუარი)	28924.19
32	წყალტუბოს ქ. N 1,2,3,4	42471.95
33	წინამძღვრიშვილის ქ.N128	8190.42
34	ბაქოს ქ.(მიმდინარე შეკეთება)	71308.29
35	უსნაძის ქ.(ორმოული შკეთება)	3586.96
36	კარგარეთელის ქ.(ორმოული შეკეთება)	2625.45
37	ტეტელაშვილის ქ.(ორმოული შეკეთება)	3398.67
38	ტოვსტონოგოვის ქ.N4	3293.08
39	თ.მეფის გამზ.N13	5388.10
40	ბაქოს ქ.N4	984.59
41	ბაქოს ქ.N5	1565.50
42	ბაქოს ქ.N7	2392.56
43	აღმაშენებლის გამზ. N150	8530.41

წყალსადენი -კანალიზაცია

N	მისამართი	თანხა
1	აგლაძის 79	7361.52
2	აგლაძის ქ. N 34 3-4 კორპ.	2107.67
3	აგლაძის ქ. N 81	7418.8
4	აგლაძის ქ. N 83	10338.35
5	ავტოსადგომ ოკრიბას მიმდებარე ტერიტორია	33151.49
6	აკ.წერეთლის გამზ. N 78	13664.05
7	ბაგრატიონის 62	4962.75
8	ბაგრატიონის ქ. N 16	4587.02
9	ბაგრატიონის ქ. N 32	5343.88
10	ბაგრატიონის ქ. N 34	4775.02
11	ბათუმის ქ. N 5	2274.7
12	ბორჯომის ქ. N 18	2114.4
13	გორის ქ. N 15	5850.86
14	გორის ქ. N 28	8391.79
15	გორის ქ. N 30	9675.46
16	გორის ქ. N 32	10330.12
17	ზუგდიდის ქ. N 12	67244.99
18	თევდორე მღვდლის 6	6567.17
19	მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორია	32295.1
20	სტანისლავსკის ქ. N 84	11395.75
21	ფოთის 8 ა	5504.34
22	ფოთის 15	4776.35
23	ფოთის ქ. N 17	8562.56
24	ფოთის ქ. N 1ა	4329.9
25	ფოთის ქ. N 30	6543.21
26	ფოთის ქ. N 36	1960.81
27	ფოთის ქ. N 37	910.21
28	ფოთის ქ. N 40	7595.53
29	ფოთის ქ. N 45	6884.36
30	ფოთის ქ. N 7	6811.96
31	ქუთაისის ქ. N 27	4509.68
32	ქურდიანის 18	4396.21
33	ქურდიანის 11	680.17
34	ქურდიანის ქ. N 5	8263.23
35	ქურდიანის ქ. N 7	3859.2
36	ყიფიანის 21	13626.0[illegible]
37	წყალტუბოს 25	5594.6
38	ცემის ქ.N11	137772.83

39	ევდოშვილი ქ.N2/10	
40	მეტრეველი ქ.N18	8335.03
41	წინამძღვრიშვილის N 128	9360.7
42	კარგარეთელის N 3 ბ	989.84

ახალი ბილიკები

N	მისამართი	თანხა
1	მეტრო დიდუბიდან ა/ს.ოკრიბამდე	50679.41
2	აკ. წერეთლის გამზ. N 87ა	8225.69
3	სამტრედიის ქ. N 4 კორპ. მიმდებარედ	2732.46

ახალი სკვერების მოწყობა

N	მისამართი	თანხა
1	აგლაძის 37 ა	11549.69
2	აკ.წერეთლის გამზ. 9 და 10 კორპ. შორის	34974.08
3	თ.მღვდლის ქ. N 13	22773.52
4	სოხუმის ქ. N 8	17566.26

ქუჩების დამაკავშირებელი კიბეებისა და უსაფრთხოების მოაჯირების შეკეთება

N	მისამართი	თანხა
1	აგლაძის 26	316.48
2	აგლაძის 37-თან	707.59
3	აგლაძის 39	1574.46
4	აკ.წერეთლის გამზ. N 78. 8-10-12 კორპ.	2222.11
5	აკ.წერეთლის გამზ. ძეგლთან	480.49
6	მირცხულავას ქ. 12, 14, 16	312.27
7	მირცხულავას ქ. N 4	476.29
8	სანაპიროსა და მირცხულავას ქუჩების გადაკვეთა	4724.87
9	წყალტუბოს ქ. კორპ. 1, 2, 3, 4.	1521.99
10	წყალტუბოს ქ. კორპ 4	201.13

არსებული სკვერების აღდგენა

N	მისამართი	თანხა
1	აკაკი წერეთლის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია	448.62

2	სამტრედიის. N3ა	4777.26
3	წერეთლის გამზ.55სკოლის წინ	2539.56
4	წერელის ქ.N10-N11 კორპუსებს შორის	19481.26
5	ყიფიანის ქ. N4	8865.99
6	აგლაძის ქ. N 39.	13749.39
7	ბათუმის ქ. N 25	10271.41
8	დიდუბის ხიდთან ეკლესიის მიმდებარედ	202.63
9	ვანის. N 4	14809.11
10	წერეთლის გამზ. 2 და 3 კორპ. შორის.	8212.19
11	წერეთლის გამზ. N 77ბ.	8315.48
12	წერეთლის გამზ. N 87ა-ს უკან	27325.83
13	წერეთლის გამზ. N 97.	9259.11
14	წერწთლის გამზ. N 69	2531.65
15	წყალტუბოს ქ. N 9.	11702.34

სპორტული მოედნების აღდგენა

N	მისამართი	თანხა
1	თევდორე მღვდლის ქ.N 10	29885.3
2	აკ. წერეთლის 77.	10399.7
3	თბილისი აკ. წერეთლის გამზ. N 78 მე-8 კორ.	19390.5
4	თბილისი აკ. წერეთლის გამზ. N 7.	20774.8
5	თბილისი აკ. წერეთლის გამზ. N 55 მე-2 კორ.	16800.8
6	ირ.ევდოშვილის ქ.N2/10	12244.1
7	გოგოლაურის ქ. N18ა	34996.9

ახალი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები

N	მისამართი	თანხა
1	სამტრედიის ქ. N 3ა	85279.53
2	აბასთუმნის ქ. N 4	68767.00

ახალი უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობა

N	მისამართი	თანხა
1	აკ.წერეთლის გამზ. N 132	359.99
2	აკ.წერეთლის გამზ. N 69	3844.09
3	აკ.წერეთლის გამზ. N 87	5682.39
4	აკ.წერეთლის გამზ. კორპ. N 8	1605.89

5	გვეტაძის ქ. N 4	6423.57
6	ვანის ქ. N 4	4694.15
7	მირცხულავას ქ, N 3ა	1111.77
8	ყიფიანის ქ. N 4	5064.74

ამ ეტაპზე მიმდინარეობს თევდორე მღვდლის ქუჩის მთლიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, გამოიცვალა საკანალიზაციო მოწყობილობა და დაიწყო მოასფალტების სამუშაოები.

მშენებლობის რეაბილიტაცია

მაჟორიტარის ინიციატივის საფუძველზე მარჯანიშვილის ქ.N16 კორპ.N2-ში განახლდა კორპუსის სამშენებლო სამუშაოები, რომელშიც 1988 წლიდან გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს 72 ოჯახი. განახლებული და რეაბილიტირებული კორპუსი მაცხოვრებლებს წლის ბოლომდე ჩაბარდებათ. ძნელაძის მუშაობის შედეგად ბიუჯეტით გაწერილია აღმაშენებლის N184-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სახლის აღდგენა-რესტავრაცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სახლის მაცხოვრებლებსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებს შორის. სახლის რესტავრაცია უახლოეს მომავალში დაიწყება.

გაზიფიცირება და ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა

როგორც წინა ანგარიშით დავპირდით მოსახლეობას, გაზიფიცირება ძისდა წერეთლის N132-ში, რომელშიც ცხოვრობს 36 ოჯახი და წერეთლის N130-ში, რომელშიც ცხოვრობენ დევნილები. ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფილი იქნა ხოშარაულის N29-ში მცხოვრები 100 და თევდორე მღვდლის N13-ში მცხოვრები 57 ოჯახი.

ჯანდაცვა და სოციალური სფერო

მოსახლეობის მედიკამენტოსური და ოპერაციული უზრუნველყოფა: პირებს, რომლებიც მოგვმართავენ ჯანმრთელობის საკითხებზე, ბიურო უზრუნველყოფს მათ

სრული მხარდაჭერით. შუამდგომლობის კონსულტირება ხდება ჩვენი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი პროგრამებით გათვალიწინებული წესის თანასმად.

საკითხების მოგვარების პროცესში ჩვენი პარტნიორები არიან: დიდუბის რაიონის გამგეობა, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. ამ ეტაპზე ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე დაფინანსდა 300-მდე პირის მედიკამენტოზური და 70 პირის ოპერაციული მკურნალობა. გვინდა აღვნიშნოთ,რომ მერია წარმატებით აფინანსებს აუტისტი ბავშვების საჭიროებებს. 2015 წლის 9 თვის განმავლობაში დაფინანსდა 4 აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის რეაბილიტაციის ხარჯი. მაჟორიტარი წევრის მიერ დაყენებული თითქმის ყველა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

სოციალური საკითხები და სოციალური სტატუსი

მოქალაქეები, რომლებიც მაჟორიტარ წევრს მომართავენ სოციალური სტატუსის მინიჭების, აღდგენის ან სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მოთხოვნის შესახებ, ბიურო უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას, არკვევს შესაძლო დაბრკოლებებს, რაც გახდა მოქალაქისთვის ე.წ. მაღალი ქულების მიღების ან სოციალური სტატუსის შეჩერების საფუძველი.

მაღალია მომართვიანობა ქირით უზრუნველყოფის თხოვნით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია შუამდგომლობის დაყენება, რადგან ძირითადად არ აკმაყოფილებენ იმ კრიტერიუმებს, რომელიც საჭიროა მათი ქირით უზრუნველყოფისათვის.

უფასო სასადილოები

მოგეხსენებათ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი ახდენს უფასო სასადილოების ადმინისტრირებას. მოქალაქეები, რომლებიც მოგვმართავენ სასადილოში საკვების მიღების მოთხოვნით შუამდგომლობას ვუწევთ დიდუბის რაიონის გამგეობაში, რეგისტრაციის გასავლელად. აღნიშნულ პროგრამაში მოსახვედრად საჭიროა, მოქალაქეს ჰქონდეს სოციალური სტატუსი. იმის გამო, რომ უფასო სასადილოში საკვების მიღების სურვილი ბევრ სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეს გააჩნდა, იანვრიდან დიდუბის მაჟრიტარის და რაიონის გამგებლის

ძალისხმევით გაიხსნა ახალი სასადილო. დიდუბის რაიონის უფასო სასადილოები ჯამში 1200 ბენეფიციარს ემსახურება. მაჟორიტარის ინიციატივით, უფასო სასადილოებში მენეჯმენტის განხორციელების ვადა ერთიდან - 3 წლამდე გაიზარდა, ეს საშუალებას აძლევს ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციებს ჰქონდეთ მაღალი მოტივაცია ხარისხიანი და მდგრადობაზე ორიენტირებული საქმიანობისა.

განათლება - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

დიდუბის რაიონის სამაჟორიტარო ოლქში, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ინფრასტრუქტურული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა: N 2, 6, 15, 24, 90 და 92-ე, საბავშვო ბაღებს. მაჟორიტარი წევრი უშუალოდ ახორციელებდა მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგს და ცდილობდა თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოსთან ერთად მოეგვარებინა ყველა ის პრობლემა და საჭიროება, რომლის შესახებაც დირექტორებმა თვითონ მიმართეს დეპუტატს.

მოგეხსენებათ, რომ დედაქალაქის ბაღებში არსებობს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის არასაკმარისი ჯგუფების პრობლემა. ჩვენ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ახალი ბაღების აშენების გზით. ამ ეტაპზე წინამძღვრიშვილის ქ. N100-ში მიმდინარეობს ბაღის მშენებლობა,რაც შესაძლებლობას მისცემს რაიონს შეძლებისდაგვარად მოაგვაროს არსებული პრობლემა.

სპორტი და ახალგაზრდული საკითხები

ბიუროს ინიციატივითა და ე.წ. ელიავას ბაზრობის დირექციასთან თანამშრომლობით, ბაზრობის ტერიტორიაზე მოხდა არსებული საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია. დამონტაჟდა განათება, სტადიონი აღიჭურვა ინვენტარით, მოხდა სტადიონის შემოღობვა და მოეწყო გადახურული ტრიბუნა.

აღნიშნულ სტადიონზე ფუნქციონირება დაიწყო ბავშვთა საფეხბურთო კლუბმა „დიდუბე 2014“, რომელშიც ირიცხება 92 ბავშვი. ვითვალისწინებთ რა, მათი ოჯახების სოციალურ მდგომარეობას, მაჟორიტარის ინიციატივით სექციაში სწავლება არის უფასო. 8 თვის მანძილზე გუნდმა მიაღწია დიდ წარმატებებს საქართველოს მასშტაბით. შედგა 45 თამაში, აქედან გუნდმა მოიგო 42 და წაიგო

მხოლოდ 3. ამ ეტაპზე გუნდი მონაწილეობას იღებს „თბილისის მერიის თასზე“ შეჯიბრში და თამაშობს მოწინავე პოზიციებზე.

გარდა სპორტული წარმატებებისა, ვლადიმერ ძნელაძე დაინტერესებულია, გუნდში მოთამაშე სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ოჯახების ბავშვების განათლებით. გუნდში თამაშის ერთ-ერთი წინა პირობაა, კარგი აკადემიური მოსწრების და საშუალო ქულებზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლიდან. აღსანიშნავია, რომ გუნდის დამფუძნებლებმა და მწვრთნელებმა შეძლეს ბავშვებისთვის მაღალი მოტივაციის გაჩენა,რის შედეგადაც კლასში დარჩენილმა ოთხმა მოსწავლემ წარმატებით ჩააბარა გამოცდები და გადავიდა მომდევნო კლასში. რეზულტატი გვიჩვენებს, რომ აუცილებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები, რომელიც მიმართული იქნება მოზარდების საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

განათლება - არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა

განათლების მიმართულებით მაჟორიტარის ბიურო თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაცია "PH Internatinal"-თან. ერობლივად იგეგმება საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება სოციალურად დაუცველი მოზარდებისათვის. აღნიშნულ პროექტში მერიასთან ერთად ჩართულია ამერიკის საელჩო. პროექტის შესახებ უფრო ვრცლად მომდევნო ანგარიშში ვისაუბრებთ.

მაჟორიტარის ბიურო და ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი“

ბიურომ არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველ ნაბიჯთან“ ერთად მოამზადა საპროექტო განაცხადი, რომელიც შეტანილია ფონდში Arbeiter-Samariter-Bund Georgia და ელის ფინანსურ მხარდაჭერას. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს, მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე 18 წლის ზემოთ პირთათვის სარეაბილიტაციო კურსის შექმნას. პროექტში ბიუროს ფუნქციაა, ადგილობრივი (რაიონული გამგეობები) და სახელმწიფო დაწესებულებების (სკოლა, პოლიკლინიკა, ბაღი, სოციალური მომსახურების რაიონული ცენტრი) ინფორმაციული უზრუნველყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვიმუშაოთ კოორდინირებულად შშმ პირების რეაბილიტაციის პროცესში.

მაჟორიტარის ბიურო და ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“

ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ მდებარეობს დიდუბის საარჩევნო ოლქში, აღნიშნულ ორგანიზაციაში მყოფ ბავშვებს მაჟორიტარის ბიურო ხშირად ეხმარება სხვადასხვა ტიპის აქტივობებით. გასულ წელს გვქონდა აქცია, „გაათბე ბავშვი“, რომლის ფარგლებში შეგროვებული თანხა და ნივთები ორგანიზაციაში მცხოვრებ მოზარდებს გადაეცათ. წელს კი, პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება ინოვაციური პროექტი ,,გარემო ბავშვებისთვის“, რაც მიზნად ისახავს შშმ ბავშვებისათვის ინტეგრირებული ატრაქციონების და ულამაზესი გარემოს შექმნას. პროექტს ახორციელებს ცნობილი ქართულ-პოლონური კომპანია ,,აგრომაქს დეკორი“. პოლონეთის საელჩო პროექტის განხორციელებისათვის სარჯავს 30000 ევროს.

მაჟორიტარის და დიდუბის გამგეობის მხარდაჭერით ცენტრის ტერიტორია მომზადდა ატრაქციონების დასადგმელად. დაიგო საფარი და კეთილმოეწყო სტადიონი. დეკემბერში გაიხსნება უნიკალური მოედანი,რომელზეც გაერთობიან როგორც ცენტრის მოზარდები,ისე აბასთუმნის ქუჩის მაცხოვრებლები.

შშმ პირების ეტლებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფა

დიდუბის ბიუროსა და საერთაშორისო ასოციაციის "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" კარგი თანამშრომლობის შედეგად, ინვალიდის ეტლი გადაეცა დიდუბის რაიონში მცხოვრებ 3 შშმ პირს და 2 ბავშვს. მაჟორიტარს პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი შშმ პირების მედიკამენტებით მუდმივად უზრუნველყოფის საკითხი.

ამხანაგობები

დიდუბის გამგეობასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, ვგეგმავთ მეტი ყურადღება დავუთმოთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან მუშაობას, რაც მნიშვნელოვნად წაადგება როგორც მოსახლეობას, ისე აღმასრულებელ სტრუქტურებს. მაჟორიტარის ბიურო, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მეშვეობით კვლავ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას სხვადასხვა უწყებებთან, რაც საშუალებას მოგვცემს ეფექტურად ჩავერთოთ მოსახლეობისთვის მუნიციპალური

ვალდებულებების აღსრულების პროცესში და ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ მოსახლეობის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მუშაობა

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრი აქტიურად არის ჩართული საკრებულოს კომისიების მუშაობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ 31 სხდომა გამართა, მაჟორიტარის ჩართულობით აქტიურად იმუშავა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის გვინდა გამოვყოთ შემდეგი საკითხები:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების: ძეგლის(ქანდაკების),ობელისკის,მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ, პროექტის ინიცირება;
2. ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის "თბილისი" ჩატარების შესახებ,დადგენილების პროექტისა და ჩატარებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ განკარგულების პროექტის ინიცირების საკითხი.
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის "2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის N18-57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ''ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" პროექტთან დაკავშირებით.გარე რეკლამებსა და აბრებთან დაკავშირებული ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი მექანიზმების განხილვა.
5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დაფუძნების შესახებ.
6. სსიპ ქ. თბილისის N 77 საჯარო სკოლისა და სსიპ ქ. თბილისის N 182 საჯარო სკოლების სახელდებაზე თანხმობის მინიჭების შესახებ
7. ააიპ ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის ინიციატივის - "მუზეუმების ხეივანი"-ის განხილვა;

8. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად ეკატერინე მაზმიშვილის დანიშვნის თაობაზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.
9. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა (N07/8113; 07/8359; 077429)

10. სკოლამდელი აღზრდის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე;
11. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური სარეკომენდაციო საბჭოს შექმნის, მისი დებულების მოწონებისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის თაობაზე;
12. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის დასურულად გამოცხადების შესახებ.
13. თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების თაობაზე.
14. სტიქიით დაზარალებული ოჯახების ბავშვთა რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების შესახებ;
15. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა)საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა ფულადი დასმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
16. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" მოსმენა.
17. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ ,,თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის " მოსმენა.
18. ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის ,,თბილისი" ჟიურის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

19. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა.
20. „თბილისობა 2015"-თან დაკავშირებით თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ კონკურსში ,,ჩემი თბილისობა" გამარჯვებულ კონცეფციათა განხილვა.

საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომებზე აქტიურად განიხილებოდა მოქალაქეთათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რადგან ჯანდაცვის და სოციალური საჭიროებების მოგვარება საკრებულოს თითოეული წევრის უპირველესი ამოცანაა.

2015 წლის ათი თვის მანძილზე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში ჩატარდა 22 სხდომა, გატანილი იყო 26 საკითხი.კომისიაზე განხილული თემებიდან, მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია:

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ თბილისში და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების წესის შესახებ"
2. ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" მიერ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიში (მომხსენებელი-ფრაქციის თავმჯდომარე რამინა ბერაძე).ასევე იმსჯელეს ,,უფასო სასადილოების" პროგრამის გაუმჯობესების შესახებ.
3. ქ.თბილისის მუნიციპილიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის განსახორციელებელი პროექტები მოსკოვის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის (კარვები) მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით.
4. ,,სხვა სოციალური ღონისძიებები რაიონებში ქვეპროგრამის ფარგლებში მოქალაქეთათვის დახმარებების გაცემის წესი.
5. ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და მათი განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე". საკრებულოს დადგენილების პროექტი მოიცავდა ონკოპრევენციის პროგრამის, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამის, ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებში

(30 წლამდე ასაკის) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამის განხორციელების წესებს. საკითხი გატანილ იქნა საკრებულოს სხდომაზე (N04/1079).

6. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ'' დადგენილების პროექტი.
7. ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის'' დამტკიცება.
8. განისაზღვრა და დამტკიცდა C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანასების განხორციელების წესი.
9. ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის'' ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცება.
10. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დასმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.
11. ადრეული ძუძუს კიბოს (I-III სტადია) მქონე პაციენტების მედიკამენტების უზრუნველყოფა. (ჰერცეპტინი)

ანგარიშს თან ერთვის დანართი 22 ფურცლად.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქციის "ქართული ოცნება - მრეწველები"თავმჯდომარე,

დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრი ვლადიმერ ძნელაძე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის ლადო ძნელაძის ანგარიში.

თებერვალი - იანვარი
2015 წელი

2015 წლის იანვრიდან-2015 ოქტომრამდე ქ.თბილისის საკრებულოში გაიმართა 25 სხდომა;

10 თვის მანძილზე საკრებულომ მიიღო 101 დადგენილება და 380 განკარგულება;

39 ბიუროს სხდომა;

კომისიის სხდომებში დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ლადო ძნელაძის მუშაობის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;

10 თვის მანძილზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში ჩატარდა 22 სხდომა.

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია

10 თვის მანძილზე საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში ჩატარდა 31 სხდომა.

დიდუბის მაჟორიტარის ბიუროს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

მაჟორიტარის ბიურო მუშაობს დიდუბის და მისი მოსახლეობის პრობლემებზე.

საქმიანობის სფეროები:

- ჯანდაცვა და სოციალური მიმართულება;
- ინფრასტრუქტურა;
- განათლება და კულტურა;
- სპორტი და ახალგაზრდობა;
- საზოგადოებრივი საქმიანობა.

დიდუბის მაჟორიტარის ოფისის უწყებათაშორისი თანამშრომლობა

1. *ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;*
2. *ქ.თბილისის მერია და საქალაქო სამსახურები;*
3. *დიდუბის რაიონის გამგეობა;*
4. *ჩუღურეთის რაიონის გამგეობა;*
5. *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;*
6. *შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;*
7. *დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი;*
8. *თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო;*
9. *თბილისის განვითარების ფონდი;*
10. *საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია;*
11. *შპს "ყაზტრანსგაზი";*
12. *შპს საქართველოს რკინიგზა;*
13. *სს "თელასი";*
14. კომპანია "ჯორჯიან უოთერ ანდ ფაუერი" GWP

დიდუბის მაჟორიტარის ოფისის მუშაობის პრინციპები

- ბიურო მუშაობს ყოველდღე;
- ოთხშაბათი - მაჟორიტარს აქვს მოსახლეობის მიღების დღე;
- ბიუროს თანამშრომლების მხრიდან ყოველდღიურად ხდება მოქალაქეთა კონსულტირება, საინფორმაციო მხარდაჭერა;
- საჭიროებიდან გამომდინარე დგება მაჟორიტარის შუამდგომლობა ადრესატ უწყებასთან.

ოფისის მიერ გაწეული სამუშაოები

ჯანდაცვა

- მოსახლეობის მედიკამენტოზური და ოპერაციული უზრუნველყოფა;
- უშუალოდ შუამდგომლობის საფუძველზე დადებითად დაკმაყოფილდა 300-მდე პირის მედიკამენტოზური და 70 პირის ოპერაციული მკურნალობა;
- მაჟორიტარის შუამდგომლობის დოკუმენტების გარეშე, დაჩქარებულად კეთდება გადაუდებელ სამედიცინო საჭიროების მქონე პირების, იშვიათი დაავადებების, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების და შშმ პირების საბუთები.

სოციალური სფერო

- ბიურო უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებას და მიწოდებას დაინტერესებული მოქალაქეებისთვის.

სოციალური სფერო

- საჭიროებიდან გამომდინარე ხდება ინდივიდუალური ქეისების განხილვა სოციალურ აგენტებთან ერთად, შემდეგ ხდება მოქალაქის კონსულტირება და საჭიროების შემთხვევაში მაჟორიტარი მომსახურების სააგენტოსთან აყენებს შუამდგომლობას.

სოციალური სფერო - უფასო სასადილო

- 2015 წლიდან ფუნქციონირებს 2 სადადილო, რომელიც საერთო ჯამში ემსახურება 1220 ადამიანს;
- საკვების და მომსახურების ხარისხი დეპუტატს აყვანილი ყავს პირად კონტროლზე.

ბაგა-ბაღები:

- ინფრასტრუქტურული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა N6-ე, მე15-ე, 24-ე, 90-ე,92-ე, მე-2ე საბავშვო ბაღებს;
- ამ ეტაპზე წინამძღვრიშვილის ქ.N 100-ში იწყება 67-ე ბაღის მშენებლობა;
- დეპუტატი პირადად ახორციელებს რაიონში არსებული ბაღების მონიტორინგს.

ინფრასტრუქტურული პორექტები

42 გზის მონაკვეთზე მოხდა საფარის შეკეთება;
42 მისამართზე შეკეთდა წყალსადენი-კანალიზაცია.

არსებული სკვერის რეაბილიტაცია 15 მისამართზე;

ახალი სკვერი მოწყობა 4 მისამართზე;

სპორტული მოედნის აღდგენა 7 მისამართზე;

ახალი სპორტული მოედნის მოწყობა 2 მისამართზე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

- ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დახმარებით ბიურო შშმ პირებს უზრუნველყოფს ეტლებით;
- სხვა აუცილებელი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შშმ პირებისთვის გვეხმარებიან სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები.

ელექტროენერგიით უზრუნველყოფა:

- თევდორე მღვდლის #13 - 57 ოჯახი;
- ხოშარაულის #29 - 100 ოჯახი.

მოსახლეობის გაზიფიცირება:

- წერეთლის #132 - 36 ოჯახი;
- წერეთლის #130 - დევნილთა ოჯახი.

მშენებლობა-რეაბილიტაცია

ალმაშენებლის #184

- სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილია 300.000 ლარი.

მშენებლობა-რეაბილიტაცია

მარჯანიშვილის #16

- ბინის აშენება დაიწყო 1984 წლიდან და დღემდე დაუსრულებელია;
- ბიუჯეტიდან გამოყოფილია 2.300.000ლარი.

ურთიერთობა სამოქალაქო სექტორთან

- თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაცია“PH Internatinal”-თან;
- თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია “პირველი ნაბიჯთან”.

სპორტული აქტივობები
კლუბი ”Fc დიდუბე 2014”

- საფეხბურთო მოედნის მოწყობა;
- ბავშვთა საფეხბურთო სექციის ჩამოყალიბება;
- ამ ეტაპზე გუნდში ვარჯიშობს 94 ბავშვი;
- გუნდი სპორტულ ასპარეზზე აქვს დიდი წარმატება.

QATAR

გმადლობთ ყურადღებისათვის!